



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის წევრი



670/3-113/22 2 26012022



670/3-113/22

26-01-2022

ხოზის მუნიციპალიტეტის მერს
დავით ზუკიას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ხოზის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროს საწმისში დაზიანებულია და გადაადგილებისთვის სახიფათოა მთავარი ხიდი, რომლითაც ყოველდღიურ რეჟიმში გადაადგილდებიან სკოლის მოსწავლეები და მოსახლეობა. ხიდი სასწრაფოდ საჭიროებს შეკეთება/აღდგენას, ასევე აღნიშნულ სოფელში პრობლემას წარმოადგენს მოუწესრიგებელი შიდა გზები და გარე განათება.

გთხოვთ, დაინტერესდეთ აღნიშნული საკითხით, შემჭიდროვებულ ვადებში უზრუნველყოთ ხსენებული საკითხის გადაწყვეტა და გვაცნობოთ პროექტის განხორციელების კონკრეტული ვადები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობა
ხოზის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 50-502203312
თარიღი: 02/02/2022
პინი: 2316

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ანა წითლიძეს

ქალბატონო ანა,

თქვენი, 2022 წლის 26 იანვრის N 670/3-113/22 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება სოფელ ოქროს საწმისში დაზიანებული ხიდის, გზის საფარისა და გარე განათების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს, გაცნობებთ შემდეგს:

1. ოქროს საწმისის დასახლება დაპროექტდა და პროექტი არასრულად განხორციელდა გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში. აქ მიწის დაბალი ნიშნულებია და პროექტი გათვლილი იყო ე. წ. პოლდერულ სისტემაზე, როცა ტერიტორია გარშემო არსებული წყლებისაგან დაცულია ნაყარით, ჯებირითა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობებით. პოლდერებში გრუნტის წყლის დონე რეგულირდება დრენაჟული მოწყობილობებით და წყალი, ჯებირის გავლით, უნდა იყოს ამოტუმბული სატუმბი დანადგარებით. სამწუხაროდ ჯებირებისა და სატუმბი დანადგარების მაშინ დაწყებული მშენებლობა ვერ იქნა დასრულებული და რაც იყო აშენებული, ისიც განადგურდა. დასახლების ტერიტორიაზე ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად აუცილებელი იქნება ზემოაღნიშნული საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც სოლიდურ ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული. ღონისძიებების განხორციელების შემდგომ შესაძლებელი იქნება დასახლების გაზრდაც და სოფლის მეურნეობის განვითარებაც.
2. სოფელი ოქროს საწმისი ტერიტორიულად თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაშია და მდებარეობს მდინარე მუნჩიას მარჯვენა სანაპიროზე, მდ. უტორის შესართავიდან ჩრდილო-დასავლეთით, 500 მ-ში. დასახლებადე მისასვლელი გზა განთავსებულია მდინარე მუნჩიას მარცხენა სანაპიროზე (გადასასვევი თბილისი-სენაკი-ლესელიძე საავტომობილო მაგისტრალიდან მდ. მუნჩიაზე განთავსებული სახიდე გადასასვლელთან), პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე და დასახლებასთან კვეთავს როგორც მდ. მუნჩიას, ასავე მდ. უტორს. გზის საერთო სიგრძე 7,2 კმ-ია ((ამ გზით გადაადგილდებიან სკოლის მოსწავლეებიც).
3. ოქროს საწმისის მიმართულებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, დაიგო ცემენტო-ბეტონის საფარი, მხოლოდ 2.2 კმ მონაკვეთზე. მოსახლეობას მოუწესრიგდა სასმელი წყლის პრობლემა.

ყოველწლიურად ხდება შიდა ქუჩების შეკეთება (მოხრეშვითი სამუშაოები), ამოწმენდილ იქნა წყალდამშრობი არხები ლოკალური მასშტაბით, თუმცა გატარებულმა ღონისძიებებმა პრობლემები სრულად ვერ მოხსნა;

4. ოქროს საწმისის ცენტრამდე სარეაბილიტაციოდ დარჩენილია გზის 5.0 კმ-იანი მონაკვეთი. გზის ამ მონაკვეთზე განთავსებულია ორი სახიდე გადასასვლელი, ერთი ერთეული მდ. მუხნიაზე და მეორე მდ. უტორზე, თითოეულის სიგრძე 21 გრძ. მ-ია (სამმალიანი, 6+9+6 მ, ბურჯები, როგორც სანაპირო, ასევე შუალედური, რკინაბეტონის რიგელებისა (წოლანა) და ხიმინჯების კომბინაციით. ხიდები სარეაბილიტაციოა). მდინარეები გასწორხაზოვნებულია ღრმა წყალდამშრობი არხების სახით.
5. დასახლებასთან დასაკავშირებლად არსებობს ალტერნატიული გზაც, ისეთნაირად, რომ არ გახდეს საჭირო დაზიანებულ ხიდებზე გადასვლა (ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის გავლით). ეს გზაც ასევე სარეაბილიტაციოა. გზის სიგრძე 6.5 კმ-ია. ამ ვარიანტის განხორციელების შემთხვევაში გზა (ქუჩა) მოუწესრიგდება ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას 1 კმ მანძილზე;
6. ტექნიკურად მძიმე მდგომარეობაშია დასახლების შიდა ქუჩებიც, რომელთა საერთო სიგრძე 2,1 კმ-ია. საფარი ქვიშა-ხრეშოვანია, დაორმოებულია, გაუვალია, მიუხედავად ყოველწლიური შეკეთებისა (მოხრეშვითი სამუშაოები), რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. აღნიშნულ მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ წყალდიდობების პერიოდში დასახლება წყლით იტბორება (მათ შორის მისასვლელი გზის ბოლო 1,0 კმ-იანი მონაკვეთი), დასახლება 2-3 დღე მიუვალი ხდება და მოწყვეტილია ადმინისტრაციული ცენტრიდან;
7. ქუჩების გარე განათება მოსაწყობია 2.1 კმ-ზე ;
8. პრობლემების სრული მოგვარება, ტერიტორიის დატბორვის პრობლემის მოხსნის ჩათვლით, შესაძლებელი იქნება დასახლების თავდაპირველ პროექტში ჩადებული საინჟინრო ღონისძიებების გატარების შემთხვევაში.

ამ ეტაპზე პრობლემების მოგვარებისთვის საჭიროა:

- მისასვლელი ან ალტერნატიული გზის (ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის გავლით) რეაბილიტაცია;
- შიდა ქუჩების მოწესრიგება;
- გარე განათების მოწყობა;

სამწუხაროდ, ადგილობრივი თვითმმართველობა დასახლებული პრობლემების მოგვარებას დამოუკიდებლად ვერ შეძლებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში დახმარება ეთხოვა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

პროექტის განხორციელების კონკრეტულ ვადებზე გეცნობებათ დამატებით.

პატივისცემით,

დავით ბუკია

ხობის მუნიციპალიტეტის მერია-ხობის მუნიციპალიტეტის
მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

